საქართველოს
კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

N 02/2249
23/08/2023

2249-01-2-202308231500

მოქალაქე მაკა ყაველაშვილს(პ/ნ 54001044833)
მის.: ქ.თბილისი, იყალთოს ქ. №29
ელ-ფოსტა: kavelashvilimaka72@gmail.com
ელ-ფოსტა: Ninokenchoshvili@gmail.com
ტელ.:551953165

ქალბატონო მაკა,

2023 წლის 21 აგვისტოს №01/2781 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის (შემდგომში - პროცედურა) მეორე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, განმცხადებელს უფლება აქვს, სააგენტოს წარუდგინოს პროცედურის დანართი №1-ით დადგენილი ფორმის შესაბამისი განცხადება მომხმარებლის უფლების სავარაუდო დარღვევის შესახებ (შემდგომში – განცხადება).

ამასთან, პროცედურის მეოთხე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, სააგენტო განცხადების მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს განცხადების ფორმალურ შესაბამისობას კანონის, ამ პროცედურის მეორე მუხლითა და დანართი №1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ პროცედურის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, განცხადება უნდა შეიცავდეს მოვაჭრის დასახელებას (სახელი, გვარი/პირადი ნომერი (ფიზიკური პირის შემთხვევაში), დასახელებას ან/და საიდენტიფიკაციო ნომერს (იურიდიული პირის შემთხვევაში), მისამართს და არსებობის შემთხვევაში, საკონტაქტო ინფორმაციას), ხოლო თქვენ მიერ წარმოდგენილი განცხადებით ვერ დგინდება მოვაჭრის დასახელება ან/და საიდენტიფიკაციო ნომერი და მისამართი.

აგრეთვე, გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 86-ე მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტებით ყველას აქვს უფლება აწარმოოს ურთიერთობა ადმინისტრაციულ ორგანოსთან წარმომადგენლის მეშვეობით, აგრეთვე ისარგებლოს დამცველის დახმარებით, ასევე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია წარმომადგენელს მოსთხოვოს მისი წარმომადგენლობის

დამადასტურებელი საბუთი. განცხადებაში მითითებულია წარმომადგნლის შესახებ ინფორმაცია, ხოლო კოდექსის 86-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, არაა წარმოდგენილი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი (მინდობილობა).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, წინამდებარე წერილის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, წარმოადგინოთ ზემოთ მითითებული ინფორმაცია/დოკუმენტი. აქვე გაცნობებთ, რომ სააგენტოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

პატივისცემით,

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე